ოქმი N14

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2023 წლის 27 დეკემბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 11

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 9

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ნუგზარ შუშანია
4. გოჩა ქაჯაია
5. ვლადიმერ ქანთარია
6. ლევან ლიპარტია
7. ბექა მამაცაშვილი
8. აკაკი მალანია
9. ია ჯიშკარიანი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 6 დეკემბრის N50-50233403 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის წევრი);

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მ. თათარიშვილის 2023 წლის 12 დეკემბრის N51-51233461 განცხადების განხილვა („ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის წევრი);

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის დ. ბერაიას 2023 წლის 13 დეკემბრის N50-502334782 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 25 დეკემბრის N50-502335958 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ა. მალანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის წევრი);

5. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2023 წლის 25 დეკემბრის N51-51233594 განცხადების განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2023 წლის 25 დეკემბრის N51-51233595 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

7. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-502336603 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე);

8. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-50233605 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ა. მალანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის წევრი);

9. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ. იოსავას 2023 წლის 26 დეკემბრის N19/51233608-51 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე მოხსენების თაობაზე);

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი);

10. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-502336048 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ა. მალანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი);

11. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-502336094 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი);

12. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-502336097 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი);

13. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-502336098 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე);

14. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-5023360101 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ დადგენილების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 6 დეკემბრის N50-50233403 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი)

მოისმინეს: გ. ქაჯაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ და კომისიის საერთო დასკვნა განსახილველ პროექტებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით 2023 წლის 13 ოქტომბერს ამოქმედდა საქართველოს ახალი კანონი „თავდაცვის კოდექსი“, რომლის მიხედვითაც, 2024 წლის 1 იანვრიდან უქმდება მუნიციპალიტეტებისთვის სახელმწიფოსგან დელეგირებული უფლებამოსილებები, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო აღრიცხვასა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან, წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურთან (გაწვევის ორგანიზება, გამოძახება, გაწვევა, გაწვევისგან გათავისუფლება ან გაწვევის გადავადება) და სამობილიზაციო სარეზერვო სამხედრო სამსახურთან (ჩარიცხვა, გამოძახება, გაწვევა, გაწვევისგან გათავისუფლება ან გაწვევის გადავადება). ზემოთ აღწერილი დელეგირებული უფლებამოსილებების მუნიციპალიტეტისთვის გაუქმება იწვევს მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის გაუქმებას, რის გამოც ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 27 ნოემბერს დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. რეორგანიზაციის ფარგლებში, საშტატო

ნუსხაში ასევე ხორციელდება 2 ცვლილება და მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურს და ზედამხედველობის სამსახურს, დატვირთული სამუშაო რეჟიმისა და ამ სამსახურებში არსებული ადამიანური რესურსების არასაკმარისობის გამო ემატება თითო საშტატო ერთეული. საერთო ჯამში, მერიის საშტატო რიცხოვნობა მცირდება 6 საშტატო ერთეულით. დადგენილების პროექტით, საშტატო ნუსხაში მერიაში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოები გათვლილია „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად, რაც შეადგენს 1330-ს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მათი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ რაიმე სახის შენიშვნები ან მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მ. თათარიშვილის 2023 წლის 12 დეკემბრის N51-51233461 განცხადების განხილვა („ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი)

მოისმინეს: გ. ქაჯაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რეგისტრაციის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან

დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტაცია ფრაქციისთვის სახელწოდების ცვლილების თაობაზე, რომლის საფუძველზეც ფრაქციას ეწოდა „თავისუფალი პლატფორმა“. კომისიის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიაჩნია, რომ დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ფრაქციის სახელწოდების ცვლილებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ რეგისტრაციის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N29 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე ცნობის სახით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ რაიმე სახის მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის დ. ბერაიას 2023 წლის 13 დეკემბრის N50-502334782 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი („ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომლის საფუძველზეც ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა - 16398,7 ათასი ლარით,

გადასახდელები - 16398,7 ათასი ლარით, (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1880,1 ათასი ლარით). სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი - 270,4 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად - 270,4 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი - 90,0 ათასი ლარით, ვალდებულებების ცვლილება, კლება 58,0 ათასი ლარი. 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი 2023 წლის საწყის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 1875,1 ათასი ლარით (13,0 %-ით).

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია: ინფრასტრუქტურის განვითარება - 3099,6 ათასი ლარი; მათ შორის: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) – 817,0 ათასი ლარი; გარე განათება -497,9 ათასი ლარი; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 24,0 ათასი ლარი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აქტივების რეაბილიტაცია - 1017,4 ათასი ლარი; სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 33,0 ათასი ლარ; მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების სისტემების მართვა და ექსპლოატაცია - 281,4 ათასი ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 25,0 ათასი ლარი. სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 73,9 ათასილარი. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 30,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 818,5 ათასი ლარი. განათლება - 2932,0 ათასი ლარი, მათ შორის. სკოლამდელი განათლება - 2896,0 ათასი ლარი. საჯარო სკოლების დაფინანსება - 36,0 ათასი ლარი. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 2728,3 ათასი ლარი. სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1346,4 ათასი ლარი. კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 58,3 ათასი ლარი. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 45,0 ათასი ლარი. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 16,0 ათასი ლარი; კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეწყობა - 1262,6 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 942,9 ათასი ლარი, მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 204,7 ათასი ლარი; ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა - 53,7 ათასი ლარი; მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა - 491,2 ათასი ლარი, უმწეოთა ერთჯერადი დახმარება - 20,0 ათასი ლარი; ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება - 30,0 ათასი ლარი; მოსახლეობის სოციალური და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა - 143,3 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 25 დეკემბრის N50-502335958 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ა. მალანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი)

მოისმინეს: ა. მალანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნები წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ 1) „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცებული ბიუჯეტი 881950 ლარი შემცირდა 9000 ლარით (გადატანილ იქნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტში) შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 872950 ლარის ოდენობით. პროგრამის ქვემუხლებში: შშმ პირთა და ონკოლოგიურ და ონკოლოგიურზე საეჭვო პაციენტთა

მაღალტექნოლოგიური გამოკვლევები, 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარება, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებზე, დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარებისა და ერთჯერადი ფულადი დახმარების მუხლებში გამოყოფილი თანხები მომართვიანობიდან გამომდინარე არასაკმარისი აღმოჩნდა. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭირო გახდა ზემოთ აღნიშნულ მუხლებში თანხების დამატება, თანხები ზემო აღნიშნულ მუხლებში გადატანილ იქნა გახდა ამავე პროგრამის ქვეპროგრამის სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლის (ტენდერის შედეგად), ომი ვეტერანის დაკრძალვის ხარჯების მუხლის და სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის წყლის ხარჯის ანაზღაურების მუხლის ეკონომიებიდან (31 200 ლარი), კერძოდ: **შემცირდა:** სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის მუხლი 22 200 ლარით. ომის ვეტერანის დაკრძალვის ხარჯების მუხლი 1000 ლარით, სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის წყლის ხარჯის ანაზღაურების მუხლი 8000 ლარით. შესაბამისად **გაიზარდა:** შშმ პირთა და ონკოლოგიურ და ონკოლოგიურზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია, ჰისტოქიმიური კვლევა) დაფინანსება (ერთჯერადად) მუხლი 5000 ლარით. 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების მუხლი 10000 ლარით. აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებზე წელიწადში ორჯერ ერთჯერადად 300-300 ლარის ოდენობით დახმარების მუხლი 600 ლარით. დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარების მუხლი 4600 ლარით. ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის დახმარების მუხლი 2000 ლარით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის

N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ". 2) ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ", რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი დამტკიცებული იყო 51240 ლარის ოდენობით და 2024 წლის ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 53640 ლარის ოდენობით. ცვლილება გამოიწვია პროგრამის ხარჯვითი ნაწილის 2400 ლარით გაზრდამ. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხებთან დაკავშირებით გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

5. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2023 წლის 25 დეკემბრის N51-51233594 განცხადების განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ განხილულ იქნა საკრებულოს აპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათი საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა კორპორაციულ ნომრებზე თვიური ლიმიტის გაზრდის თაობაზე და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული განყოფილების უფროსების ლიმიტი განისაზღვროს 15 ლარის ოდენობით, ნაცვლად 10 ლარისა და აპარატის საჯარო მოხელეთა ლიმიტი 10 ლარის ოდენობით, ნაცვლად 5 ლარისა. ამასთან საკრებულოსთვის ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ლიმიტის ფარგლებში განხორციელდეს ცვლილება და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და ფრაქციის თავმჯდომარისთვის ლიმიტით განსაზღვრული 20 ლარი შემცირდეს 10 ლარამდე და შესაბამისად დაემატოს საკრებულოს უფროსის და განყოფილების უფროსისთვის განსაზღვრულ ლიმიტს და განისაზღვროს 20 ლარის ოდენობით. ცვლილება ფინანსურად 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში 2023 წლის საკრებულოსთვის გამოყოფილი ბიუჯეტისგან განსხვავებით ცვლილებას გამოიწვევს 840 ლარის ოდენობით. საკრებულოს თავმჯდომარესთან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, ასევე ხორციელდება საკრებულოსთვის განსაზღვრულ საწვავის ხარჯების ლიმიტებშიც ცვლილება, კერძოდ: საკრებულოს თავმჯდომარისთვის გათვალისწინებული 750 ლიტრი საწვავი მცირდება 140 ლიტრით და შესაბამისად 20 ლიტრით იზრდება 5 კომისიის თავმჯდომარის და 2 ფრაქციის თავმჯდომარის ლიმიტი და თითოეულის ლიმიტი განისაზღვრება 100 ლიტრით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულის პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

6. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2023 წლის 25 დეკემბრის N51-51233595 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ", რომლის თანახმადაც საკრებულოში დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგოები გათვლილია „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად, რაც შეადგენს 1330-ს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

7. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-502336603 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით წარმოდგენილი დადგენილების პროექტით განისაზღვრება ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სია და ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობები. გამომსვლელის განცხადებით, კომისიამ განიხილა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი და მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

8. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-50233605 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ;
- „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე

(მომხსენებელი: ა. მალანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი)

მოისმინეს: ა. მალანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №41 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, „ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტში განათლების ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნები წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ 1) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2023 წლის მუნიციპალურ პროგრამაში, ღონისძიების ,,ხობის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელების დაჯილდოება'' ხარჯთაღრიცხვას ემატება 35 260 ლარი, რის საფუძველზეც პროგრამის საერთო ხარჯთაღრიცხვა განისაზღვრა 196 211 ლარით. 2) ხობის მუნიციპალიტეტის სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის საფუძველზე

განისაზღვრა შემდეგი: მსოფლიო, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონატებში მიღებულ შედეგებზე სპორტსმენების ერთჯერადი ფულადი პრემიის ზღვრული ოდენობა ოლიმპიურ და არაოლიმპიურ სახეობებში.; საქართველოს პირველობაზე, ჩემპიონატებზე, ტურნირებზე, რეგიონალურ და ადგილობრივ ღონისძიებებზე მონაწილე სპორტსმენების კვების დღიური ხარჯის ნორმები; სპორტული სასწავლო ჯგუფების კვირეული დატვირთვის ნორმატივი აკადემიურ საათებში; სპორტულ სასწავლო ჯგუფებში სწავლების ეტაპების მიხედვით მეცადინეობათა ნორმატივები. სპორტული ღონისძიებების ხარჯები ადგილობრივი და გასვლითი ტურნირებით სპორტული ჯგუფებისა და ა(ა)იპ-ების მიხედვით: ა) წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება -53 000 ლარი; ბ) სპორტული ღონისძიებების ხარჯები-161 820 ლარი; გ) ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები- 30 418 ლარი; დ) სპორტული ღონისძიებები- გასვლითი ტურნირები- 77 496,60 ლარი; ე) ადგილობრივი სპორტული ღონისძიებები- (ასაკობრივი ჯგუფი და ქალთა გუნდი)-18 503 ლარი. ხობის მუნიციპალიტეტში სპორტის ხელშეწყობისა და განვითარების 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 341 237,60 ლარს; 3) ხობის მუნიციპალიტეტის 2023-2025 წლების ახალგაზრდული განვითარების 2023-2025 წწ. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტის შესაბამისად, შემუშავდა ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საქმიანობის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამა, რაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერებას, ახალგაზრდების წინაშე მდგარი არაერთი გამოწვევის მოგვარებას, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 62 750 ლარს; 4) ახალგაზრდობის განვითარების 2023-2025 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმაზე დაყრდნობით, მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამა, რითაც განისაზღვრა ხობის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლების წარმატებულ მოსწავლეთა და წარმატებულ სტუდენტთა ფინანსური ხელშეწყობის, ახალგაზრდობის მხარდაჭერისა და ხობის მუნიციპალიტეტში განათლების სფეროში მოღვაწე პირების მატერიალური წახალისების (ჯილდოს) გაცემის წესი. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 28000 ლარს. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

9. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ. იოსავას 2023 წლის 26 დეკემბრის N19/51233608-51 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე მოხსენების თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი)

მოისმინეს: გ. ქაჯაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზ იოსავას განცხადება, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე მოხსენების გაკეთების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ რაიმე სახის მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

10. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-502336048 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: ა. მალანია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის წევრი)

მოისმინეს: ა. მალანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2023 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი დამტკიცებული იყო 51240 ლარის ოდენობით და 2024 წლის ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 53640 ლარის ოდენობით. ცვლილება გამოიწვია პროგრამის ხარჯვითი ნაწილის 2400 ლარით გაზრდამ. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ რაიმე სახის მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

11. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-502336094 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის წევრი)

მოისმინეს: გ. ქაჯაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად საგანგებო სიტუაციის პრევენციის, მასზე მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების დაგეგმვა ეროვნული სუბიექტების მიერ ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმის შესაბამისად. კანონით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მიერ უსაფრთხოების პასპორტის მომზადება და დამტკიცება, აღნიშნულთან დაკავშირებით, შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, როგორც სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის კოორდინატორმა და წამყვანმა ორგანომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, პროექტის ,,კლიმატით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში“ ფარგლებში შეიმუშავა მუნიციპალიტეტებში საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში საგანგებო მართვის გეგმების პროგრამა, რომელშიც საპილოტე რეჟიმში ჩაერთო ხობის მუნიციპალიტეტი (საქართველოს მასშტაბით 12 მუნიციპალიტეტი). 2023 წლის 13 თებერვლიდან მიმდინარე წლის 17 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა ტრენინგები ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისთვის. აღნიშნულ ტრენინგ-მოდულში ასევე ჩართული იყო წითელი ჯვრის რეგიონალური ორგანიზაცია და შსს სამინისტროს რეგიონული სამსახურების წარმომადგენლები. პროექტის შემუშავების პროცესში დაგეგმილი და ჩატარებულ იქნა სიმულაციური ვარჯიშები, რომლის ფარგლებში მუნიციპალიტეტში შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილ იქნა საგანგებო სიტუაციის დროს გამოყენებადი ტექნიკური საშუალებები და საველე მდგომარეობაში შტაბის მუშაობის სპეციფიკა, რაც თავის მხრივ გულისხმობს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების უნარის გაძლიერებას. საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმის დამტკიცების შემდგომ 2024 წლის დასაწყისში მუნიციპალიტეტის მერია მოამზადებს მემორანდუმებს გეგმაში გათვალისწინებულ ორგანიზაციებთან. სამოქმედო გეგმის შემუშავების პარალელურად, შეიქმნა მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტი. ორივე დოკუმენტი შეთანხმებულია შინაგან საქმეთა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. შეთანხმებული მუნიციპალიტეტის პასპორტი შეთანხმების შემდგომ დამტკიცდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ხოლო საგანგებო სიტუაციების

მართვის გეგმა წარმოდგენილ იქნა საკრებულოში დასამტკიცებლად. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ რაიმე სახის მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

12. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-502336097 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის წევრი)

მოისმინეს: გ. ქაჯაია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ხობის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი შეიქმნა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე (DGG) პროექტთან თანამშრომლობით და განხორციელდა საკონსულტაციო კომპანია პოლიტიკის და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMGG) ჩართულობით. დოკუმენტი გამომდინარეობს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგიიდან და შემუშავებულია „მუნიციპალიტეტის განვითარების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულების

გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერის სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი) მიერ. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით ადგილობრივი ხელისუფლების ხედვის, მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების ინტერესების ცხოვრებაში გატარებისთვის აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში. დოკუმენტი ორიენტირებულია ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე, რომლის უმთავრესი მიზანია ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის გაძლიერება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. დოკუმენტში დაფიქსირებულია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი ხედვა - „მუნიციპალიტეტი წარმოადგენს უსაფრთხო და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური განვითარების ახალი შესაძლებლობებით უზრუნველყოფილ ადგილს, სადაც შეფასებულია და განვითარებისთვის გამოყენებულია მუნიციპალიტეტის კონკურენტული უპირატესობები, გეოგრაფიული მდებარეობა, სატრანსპორტო კვანძებთან სიახლოვე, აგრარული, ბუნებრივი რესურსები და ტურისტული პოტენციალი. შემუშავებულია ან/და განახლებულია დარგობრივი და სექტორული განვითარების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, რომელიც ინვესტორებს და ადგილობრივი მაცხოვრებლებს ხელს უწყობს ცხოვრების და მუშაობის საუკეთესო პირობების პოტენციალის განვითარებაში. დასახლებების აბსოლუტური უმრავლესობა უზრუნველყოფილია საბაზისო მუნიციპალური სერვისებით. მოსახლეობასთან და კერძო/სამოქალაქო სექტორთან ორმხრივი საინფორმაციო არხები მრავალფეროვანია, რაც ხელს უწყობს მოსახლოების საჭიროებებზე ორიენტირებულ გაუმჯობესებულ მართვას. მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამები ასახავს მოსახლეობის საჭიროებებს და ინტეგრირებულია ცენტრალური ხელისუფლების პროგრამებთან". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ რაიმე სახის მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

13. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-502336098 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე გაზმომარაგების საკითხის მოგვარების პროცესში გამოიკვეთა უზუსტობები, კერძოდ: ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების მცხოვრებთა სიებში. სოფელი განთიადი შედის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ განთიადში დღეის მდგომარეობით დასახლებულია სოფელ საგვიჩიოს მოსახლეობა, რომლებიც 80-იან წლებში ცნობილი მოვლენის (წყალდიდობა) დროს გადმოასახლეს ამ ტერიტორიაზე. საკადასტრო რუკების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მიწები რეგისტრირებულია საგვიჩიოს საკადასტრო კოდით, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ ცხოვრობს ახალსოფელში რეგისტრირებული არც ერთი მოსახლე. აქედან გამომდინარე განთიადის ტერიტორიაზე მცხოვრები საგვიჩიოს მოსახლეობა გაზმომარაგების აბონენტად ფიქსირდება ახალსოფელში, რის გამოც მიზანშეწონილია ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებიდან ამოღებულ იქნეს სოფელი განთიადი და გადატანილ იქნეს საგვიჩიოს ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებაში. ზემო აღნიშნული ცვლილებების თანახმად ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი სოფლებია ახალსოფელი და გაღმა პირველი ხორგა და საგვიჩიოს ადმინისტრაციული ერთეულში შემავალი სოფლებია საგვიჩიო და განთიადი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ რაიმე სახის მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

14. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2023 წლის 26 დეკემბრის N50-5023360101 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც, ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის N2334 განკარგულებით ხობის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია 119,0 ათასი ლარი ხობის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, 2023 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გადიდდა შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 119,0 ათასი ლარით, ასევე გადიდდა 119,0 ათასი ლარით

პრიორიტეტის - ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ მუხლის „არაფინანსური აქტივები“-ს ასიგნება, აქედან: 119,0 ათასი ლარით - ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ რაიმე სახის მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე